საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №130
2023 წლის 11 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 20 მარტის №89 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 20 მარტის №89 ბრძანებაში (ვებგვერდი, 22/03/2023, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017673) შეტანილ იქნას ცვლილება და მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ ბრძანების ამოქმედებამდე TIR პროცედურაზე დაშვებულ პირებზე „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) თავი VII-ის („პირის დაშვება TIR პროცედურაზე“) მოქმედება გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **მიხეილ დუნდუა**